

# საქართველოს მთავრობის

დადგენილება №34

2008 წლის 22 თებერვალი

ქ. თბილისი

## საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ

საქართველოს მთავრობის 2010 წლის 3 ივლისის დადგენილება №177- სსმ III, №80, 06.07.2010 წ., მუხ .1171

„საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-17 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად:

1. დამტკიცდეს საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს თანდართული დებულება.

საქართველოს მთავრობის 2010 წლის 3 ივლისის დადგენილება №177- სსმ III, №80, 06.07.2010 წ., მუხ .1171

2. ძალადაკარგულად გამოცხადდეს „ საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2004 წლის 29 მაისის №43 დადგენილება.

3. დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

**პრემიერ- მინისტრი ვ. გურგენიძე**

## საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს დებულება

საქართველოს მთავრობის 2010 წლის 3 ივლისის დადგენილება №177-სსმ III, №80, 06.07.2010წ., მუხ.1171

### მუხლი 1. ზოგადი დებულებანი

1. საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტრო (შემდგომში – სამინისტრო) სამთავრობო დაწესებულებას, რომელიც მინდობილ სფეროში სახელმწიფო მმართველობის უზრუნველსაყოფად ასრულებს კანონით გათვალისწინებულ ან საქართველოს მთავრობისა და საქართველოს პრემიერ-მინისტრის მიერ კანონის საფუძველზე დაკისრებულ ამოცანებს.

2. თავისი ამოცანების განხორციელებისას სამინისტრო წარმოადგენს სახელმწიფოს.

3. სამინისტროს კომპეტენციას განეკუთვნება აღმასრულებელი ხელისუფლების განხორციელება საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა – დევნილთა (შემდგომში – დევნილთა), თავშესაფრის მაძიებელთა, ლტოლვილის ან ჰუმანიტარული სტატუსის მქონე პირთა, რეპატრიანტთა, სტიქიით დაზარალებულთა და სხვა მიგრანტთა სოციალური და სამართლებრივი დაცვის, მიგრაციის კონტროლისა და განსახლების სფეროში. სამინისტრო თავისი კომპეტენციის ფარგლებში შეიმუშავებს და ახორციელებს ერთიან სახელმწიფო პოლიტიკას.

4. სამინისტრო ანგარიშვალდებულია საქართველოს მთავრობის წინაშე, რომელიც კოორდინაციასა და კონტროლს უწევს სამინისტროს საქმიანობას საქართველოს კონსტიტუციით დადგენილ ფარგლებში.

5. სამინისტროს დაფინანსების წყაროა სახელმწიფო ბიუჯეტი. მას აქვს დასრულებული ბალანსი, ანგარიში ხაზინაში, ხარჯთა ნუსხა და ბეჭედი სახელმწიფო გერბის გამოსახულებით.

6. სამინისტროს იურიდიული მისამართია: თბილისი, 0177, მ. თამარაშვილის ქ. №15ა.

საქართველოს მთავრობის 2010 წლის 3 ივლისის დადგენილება №177-სსმ III, №80, 06.07.2010წ., მუხ.1171

საქართველოს მთავრობის 2012 წლის 13 ივლისის დადგენილება №260 – ვებგვერდი, 16.07.2012წ.

### მუხლი 2. სამინისტროს ფუნქციები და ამოცანები

სამინისტროს ფუნქციები და ამოცანებია:

ა) საქართველოში მიგრაციული პროცესების მართვის სახელმწიფოებრივი სისტემის ჩამოყალიბება და ამ სფეროში აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანოებთან ურთიერთშეთანხმებული საქმიანობა კომპეტენციის ფარგლებში ;

ბ) ქვეყნის პოლიტიკური, სოციალურ- ეკონომიკური და დემოგრაფიული მდგომარეობის გათვალისწინებით, დევნილთა, თავშესაფრის მაძიებელთა, ლტოლვილის ან ჰუმანიტარული სტატუსის მქონე პირთა, რეპატრიანტთა, საგანგებო სიტუაციებით ( სტიქიური უბედურებები, ეპიდემია და სხვ.) გამოწვეული მიგრაციული ნაკადის რეგულირება, მათი დროებითი ან მუდმივი განსახლების ორგანიზება, ადაპტაცია- ინტეგრაციისათვის პირობების შექმნა და სოციალური დაცვა;

გ) მიგრანტთა კატეგორიების დადგენა;

დ) დევნილთა, ლტოლვილის ან ჰუმანიტარული სტატუსის მქონე პირთა, ასევე დროებით ემიგრაციაში მყოფ



საქართველოს მოქალაქეთა მუდმივ საცხოვრებელ ადგილებზე დაბრუნების ორგანიზება და ხელშეწყობა, სათანადო სოციალურ-ეკონომიკური პირობების შექმნა;

ე) მიგრაციული ნაკადის აღრიცხვა, მართვა და კონტროლი;

ვ) დროებით ემიგრაციაში მყოფ საქართველოს მოქალაქეთა უფლებების დაცვა თავისი კომპეტენციის ფარგლებში;

ზ) საერთაშორისო (სამთავრობო და არასამთავრობო) ორგანიზაციებთან თანამშრომლობა;

თ) საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის ბრძოლებში უგზო- უკვლოდ დაკარგულ მებრძოლთა მოძებნისა და მათი ოჯახის წევრთა უფლებების დაცვის პროგრამის შემუშავება, დამტკიცება და განხორციელების ორგანიზება;

ი) დევნილთა და ლტოლვილის ან ჰუმანიტარული სტატუსის მქონე პირთა აღრიცხვა-რეგისტრაციის უზრუნველყოფა; დევნილთა და ლტოლვილის ან ჰუმანიტარული სტატუსის მქონე პირთა აღრიცხვა-რეგისტრაციასთან დაკავშირებით შესაბამისი პროგრამის შემუშავება, დამტკიცება და განხორციელება;

კ) თავის ძირითად ამოცანათა ფარგლებში საქმიანობის სტრატეგიისა და პოლიტიკის შემუშავება, საქართველოს მთავრობისათვის წინადადებებისა და პროექტების წარდგენა, მიღებულ გადაწყვეტილებათა განხორციელების უზრუნველყოფა;

ლ) მიგრანტთა სოციალური და სამართლებრივი უფლებების დაცვის მიზნით საქართველოს საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლების შესაბამის ცენტრალურ ორგანოებთან ერთად სამართლებრივი ბაზის მომზადება;

მ) აღმასრულებელი ხელისუფლებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებთან ერთად მიგრანტთა მიღება-განსახლების, გადაუდებელი დახმარების, დასაქმების ხელშეწყობისა და ადაპტაცია-ინტეგრაციის ორგანიზება;

ნ) მიგრანტთათვის განკუთვნილი საერთაშორისო ჰუმანიტარული დახმარების პროგრამების შემუშავებაში მონაწილეობა და თავისი კომპეტენციის ფარგლებში მათი შესრულების კონტროლი;

ო) დევნილთა, ლტოლვილის ან ჰუმანიტარული სტატუსის მქონე პირთა, ასევე დროებით ემიგრაციაში მყოფ საქართველოს მოქალაქეთა მუდმივ საცხოვრებელ ადგილებზე დაბრუნების ორგანიზება და ამ მიმართულებით აღმასრულებელი ხელისუფლების ცენტრალურ და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებთან, საერთაშორისო ორგანიზაციებთან თანამშრომლობა;

პ) აღმასრულებელი ხელისუფლების შესაბამის ცენტრალურ ორგანოებთან ერთად ლტოლვილის ან ჰუმანიტარული სტატუსის მქონე პირთა და დროებით ემიგრაციაში მყოფ საქართველოს მოქალაქეთა უფლებების დასაცავად საერთაშორისო ხელშეკრულებათა მომზადებაში მონაწილეობა;

ჟ) საქართველოს სახელით საერთაშორისო ორგანიზაციების მუშაობაში მონაწილეობა და სათანადო ინფორმაციის გავრცელება.

*საქართველოს მთავრობის 2010 წლის 3 ივლისის დადგენილება №177-სსმ III, №80, 06.07.2010წ., მუხ.1171*

*საქართველოს მთავრობის 2010 წლის 13 ოქტომბრის დადგენილება №318-სსმ III, №134, 19.10.2010წ., მუხ.1955*

*საქართველოს მთავრობის 2012 წლის 13 ივლისის დადგენილება №260 – ვებგვერდი, 16.07.2012წ.*

*საქართველოს მთავრობის 2014 წლის 27 იანვრის დადგენილება №114 – ვებგვერდი, 28.01.2014წ.*

### **მუხლი 3. სამინისტროს უფლებამოსილებანი**

სამინისტრო უფლებამოსილია:

ა) შეიმუშაოს სამინისტროს საქმიანობის გეგმები და მათი შესრულებისათვის უზრუნველყოს საჭირო ფულადი და სხვა სახსრების გაცემა;

ბ) მართოს თავის სარგებლობაში არსებული სახელმწიფო ქონება;

გ) შეიმუშაოს სამინისტროს სამტატო ნუსხა და განახორციელოს მოხელეთა სწავლების ორგანიზება;

დ) სახელმწიფო და სხვა ორგანოებისაგან, დაწესებულებებისა და ორგანიზაციებისაგან, თანამდებობის პირებისაგან გამოითხოვოს სამინისტროსათვის დაკისრებულ ამოცანათა შესასრულებლად საჭირო ინფორმაცია, დოკუმენტაცია და მასალა;

ე) სათანადო ორგანოებში შეიტანოს წარდგინება უკანონო მიგრანტთა გაძევების შესახებ;

ვ) თავისი კომპეტენციის ფარგლებში, კანონმდებლობით დადგენილი წესით, შეიმუშაოს და გამოსცეს სამართლებრივი აქტები და მოითხოვოს მათი შესრულება;

ზ) დასახულ ამოცანათა გადაწყვეტისათვის გაანაწილოს მიზნობრივად გამოყოფილი ფინანსური სახსრები და მატერიალური საშუალებები;

თ) თავისი კომპეტენციის ფარგლებში აწარმოოს მოლაპარაკება და დადოს ხელშეკრულებები როგორც საქართველოს, ისე უცხოეთის ფიზიკურ და იურიდიულ პირებთან მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად;

ი) განიხილოს სამინისტროში შემოსული წერილები, განცხადებები, საჩივრები, წინადადებები და განახორციელოს მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული შესაბამისი ღონისძიებები;

კ) მოიწვიოს სხვადასხვა სპეციალისტები, მათ შორის უცხოელი ექსპერტები, მოაწყოს სემინარები, კონფერენციები, სიმპოზიუმები, საქველმოქმედო აქციები, თავად მიიღოს მონაწილეობა ანალოგიურ ღონისძიებებში, დაამყაროს საქმიანი ურთიერთობები საერთაშორისო ორგანიზაციებთან, უცხო ქვეყნების შესაბამის სამსახურებთან;

ლ) დადგენილი წესით გამოსცეს თავისი საქმიანობის ამსახველი ჟურნალები, ბიულეტენები და სხვა



### **მუხლი 3<sup>1</sup>. სამინისტროს სისტემა**

1. სამინისტროს სისტემას შეადგენს:

ა) სამინისტროს ცენტრალური აპარატი;

ბ) სამინისტროს ტერიტორიული ორგანოები;

გ) სამინისტროს სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებული საჯარო სამართლის იურიდიული პირი.

*საქართველოს მთავრობის 2013 წლის 21 თებერვლის დადგენილება №39 – ვებგვერდი, 25.02.2013წ.*

### **მუხლი 4. მინისტრი**

1. სამინისტროს ხელმძღვანელობს საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა მინისტრი (შემდგომში – მინისტრი), რომელსაც კანონმდებლობით დადგენილი წესით თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს საქართველოს პრემიერ-მინისტრი.

2. მინისტრი:

ა) ხელმძღვანელობს სამინისტროს, წარმართავს მის საქმიანობას და წყვეტს სამინისტროს გამგებლობის სფეროს მიკუთვნებულ საკითხებს;

ბ) პასუხისმგებელია საქართველოს კონსტიტუციის, კანონების, საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულებებისა და განკარგულებების, საქართველოს მთავრობის დადგენილებებისა და განკარგულებების შესრულებისათვის;

გ) თვალყურს ადევნებს სამინისტროს სტრუქტურული ქვედანაყოფებისა და ტერიტორიული ორგანოების მიერ თავიანთ მოვალეობათა შესრულების მიმდინარეობას და კანონით დადგენილი წესით ახორციელებს სამინისტროს საჯარო მოსამსახურეთა გადაწყვეტილებებისა და საქმიანობის სამსახურებრივ ზედამხედველობას;

დ) საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, თავისი კომპეტენციის ფარგლებში, თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს სამინისტროს სამტატო ნუსხით გათვალისწინებულ საჯარო მოსამსახურეებს, ტერიტორიულ ორგანოთა მოხელეებსა და საჯარო სამართლის იურიდიული პირის ხელმძღვანელებს;

ე) საქართველოს პრემიერ-მინისტრს წარუდგენს წინადადებებს სამინისტროს წლიური ბიუჯეტის შემოსავლისა და გასავლის საკითხებზე და აუცილებლობის შემთხვევაში – დამატებითი ბიუჯეტის პროექტზე, იღებს გადაწყვეტილებებს საბიუჯეტო სახსრების მიზნობრივი გამოყენების შესახებ და პასუხისმგებელია ბიუჯეტის ზუსტად და მიზანშეწონილად შესრულებისათვის;

ვ) ადგენს სამინისტროს სტრუქტურასა და საქმისწარმოების წესს, გარდა იმ შემთხვევისა, როცა ისინი დადგენილია მინისტრის ბრძანების შემდგომი სამართლებრივი აქტებით;

ზ) საქართველოს პრემიერ-მინისტრს წარუდგენს სამინისტროს საქმიანობის ანგარიშს;

თ) მონაწილეობს საქართველოს მთავრობის სხდომებში;

ი) პასუხს აგებს სახელმწიფო ქონების დაცვისა და გამოყენებისათვის და ორგანიზებას უწევს ამ საქმიანობას საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით;

კ) წარმოადგენს სამინისტროს და ანიჭებს სამინისტროს წარმომადგენლობით უფლებამოსილებას, თუ კანონმდებლობით სხვა რამ არ არის დადგენილი;

ლ) საქართველოს პრემიერ-მინისტრს წარუდგენს პირველი მოადგილისა და მოადგილეების კანდიდატურებს და განსაზღვრავს მათ უფლებამოსილებებს;

მ) დადგენილი წესით საქართველოს პრეზიდენტსა და საქართველოს მთავრობას განსახილველად წარუდგენს სამართლებრივი აქტების პროექტებს;

ნ) ამტკიცებს სამინისტროს სტრუქტურული ქვედანაყოფებისა და ტერიტორიული ორგანოების დებულებებს;

ო) წყვეტს სამართლებრივ დავას სამინისტროს სტრუქტურულ ქვედანაყოფებს შორის, აგრეთვე სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულებებს შორის;

პ) შესაბამის საკონკურსო-საატესტაციო კომისიასთან შეთანხმებით ადგენს საკონკურსო და საატესტაციო მოთხოვნებს სამინისტროს მოხელეებისადმი;

ჟ) აწარმოებს მოქალაქეთა მიღებას;

რ) კანონის, საქართველოს პრეზიდენტის ნორმატიული აქტის ან საქართველოს მთავრობის დადგენილების საფუძველზე და მათ შესასრულებლად გამოსცემს ბრძანებებს;

ს) თავისი მმართველობის სფეროში ქმნის კომისიებსა და საბჭოებს სათათბირო უფლებით და განსაზღვრავს მათ მოვალეობებსა და საქმიანობის წესს;

ტ) ასრულებს მისთვის კანონებით, საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულებებითა და განკარგულებებით, საქართველოს მთავრობის დადგენილებებითა და განკარგულებებით დაკისრებულ სხვა ამოცანებს.

*საქართველოს მთავრობის 2010 წლის 3 ივლისის დადგენილება №177-სსმ III, №80, 06.07.2010წ., მუხ.1171*

*საქართველოს მთავრობის 2014 წლის 1 მაისის დადგენილება №317 - ვებგვერდი, 02.05.2014წ.*

### **მუხლი 5. მინისტრის მოადგილეები**



1. მინისტრს ჰყავს პირველი მოადგილე და ოთხი მოადგილე, რომელთაც მინისტრის წარდგინებით თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს საქართველოს პრემიერ-მინისტრი.

2. მინისტრის პირველი მოადგილისა და მოადგილეების უფლებამოსილებანი განისაზღვრება მინისტრის ბრძანებით, თუ კანონით და საქართველოს მთავრობის აქტებით სხვა რამ არ არის დადგენილი.

3. მინისტრის პირველი მოადგილე ხელმძღვანელობს სამინისტროს საქმიანობას და კოორდინაციას უწევს სამინისტროს ტერიტორიული ორგანოებისა და სტრუქტურული ქვედანაყოფების საქმიანობას მინისტრის არყოფნისას.

4. მინისტრის ერთ-ერთი მოადგილე მინისტრის დავალებით ახორციელებს საპარლამენტო მდივნის ფუნქციას.

*საქართველოს მთავრობის 2008 წლის 19 ნოემბრის დადგენილება №224-სსმ III, №165, 20.11.2008წ., მუხ.1673*

*საქართველოს მთავრობის 2013 წლის 21 თებერვლის დადგენილება №39 – ვებგვერდი, 25.02.2013წ.*

*საქართველოს მთავრობის 2014 წლის 27 იანვრის დადგენილება №114 – ვებგვერდი, 28.01.2014წ.*

*საქართველოს მთავრობის 2014 წლის 1 მაისის დადგენილება №317 - ვებგვერდი, 02.05.2014წ.*

## **მუხლი 6. სამინისტროს ცენტრალური აპარატის სტრუქტურა**

1. სამინისტროს ცენტრალური აპარატის სტრუქტურული ქვედანაყოფების (შემდგომში - სამინისტროს სტრუქტურული ქვედანაყოფების) ამოცანები, ხელმძღვანელობა, მის შემადგენლობაში არსებული შიდა სტრუქტურული ერთეულები და მათი ძირითადი ამოცანები, თანამდებობათა ჩამონათვალი, ქვემდებარეობა და შენაცვლების წესი, აგრეთვე საკუთარი ბლანკის არსებობა და მისი გამოყენების წესი განისაზღვრება შესაბამისად ამ დებულებითა და სამინისტროს სტრუქტურული ქვედანაყოფების დებულებებით, რომლებსაც ამტკიცებს მინისტრი.

2. სამინისტროს სტრუქტურულ ქვედანაყოფს ხელმძღვანელობს უფროსი, რომელსაც თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს მინისტრი. იგი უშუალოდ ემორჩილება მინისტრს, მინისტრის პირველ მოადგილეს ან მინისტრის მოადგილეს.

3. სამინისტროს სტრუქტურული ქვედანაყოფის უფროსი:

ა) შიდა დაყოფის მიხედვით ანაწილებს მოვალეობებს მისდამი დაქვემდებარებული სტრუქტურული ქვედანაყოფის მოხელეებს შორის და აძლევს მათ მითითებებსა და განკარგულებებს;

ბ) თვალყურს ადევნებს სამინისტროს სტრუქტურული ქვედანაყოფის მოხელეების მიერ სამსახურებრივ მოვალეობათა შესრულებას;

გ) ხელს აწერს ან ვიზას ადებს სამინისტროს სტრუქტურულ ქვედანაყოფში მომზადებულ დოკუმენტებს;

დ) ანგარიშვალდებულია სამინისტროს სტრუქტურული ქვედანაყოფის მუშაობისათვის;

ე) წარმოადგენს სამინისტროს სტრუქტურულ ქვედანაყოფს თავის მოვალეობათა შესრულებისას და სტრუქტურული ქვედანაყოფის სახელით წარუდგენს დასკვნებს მინისტრს და მინისტრის იმ მოადგილეს, რომელიც მინისტრის ბრძანების შესაბამისად კოორდინაციას უწევს ამ სტრუქტურულ ქვედანაყოფს;

ვ) წარუდგენს სამინისტროს ხელმძღვანელობას წინადადებებს სამინისტროს სტრუქტურული ქვედანაყოფის სტრუქტურის, შტატების, მუშაობის ორგანიზების, სტრუქტურული ქვედანაყოფის მოხელეთა ხელფასისა და პრემიის, მათი წახალისების ან მათთვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრების შესახებ;

ზ) შუამდგომლობს იმ სახსრების გამოყოფის თაობაზე, რომლებიც საჭიროა სამინისტროს სტრუქტურული ქვედანაყოფის ამოცანათა შესასრულებლად;

თ) შუამდგომლობს სამინისტროს სტრუქტურული ქვედანაყოფის მოხელეთა კვალიფიკაციის ამაღლების შესახებ;

ი) ასრულებს ამ დებულებით, სამინისტროს სტრუქტურული ქვედანაყოფის დებულებით, მინისტრის ან/და უშუალო ხელმძღვანელის მიერ განსაზღვრულ ამოცანებს.

4. სამინისტროს სტრუქტურული ქვედანაყოფებია:

ა) დევნილთა საკითხების დეპარტამენტი;

ბ) მიგრაციის, რეპატრაციისა და ლტოლვილთა საკითხების დეპარტამენტი;

ბ<sup>1</sup>) ეკომიგრანტთა საკითხების დეპარტამენტი;

გ) ადმინისტრაციული დეპარტამენტი;

დ) იურიდიული დეპარტამენტი;

ე) საფინანსო დეპარტამენტი;

ვ) შიდა აუდიტის დეპარტამენტი;

ზ) საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტი;

თ) განსახლების ობიექტების ტექნიკური ზედამხედველობის დეპარტამენტი;

ი) საზოგადოებასა და მასმედიათან ურთიერთობის დეპარტამენტი;

კ) ადამიანური რესურსების მართვისა და განვითარების სამმართველო;

ლ) საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის ბრძოლებში უგზო-უკვლოდ დაკარგულ მებრძოლთა მოძებნისა და მათი ოჯახის წევრების უფლებების დაცვის განყოფილება.

5. სამინისტროს სტრუქტურული ქვედანაყოფი შეიძლება დაიყოს სამმართველოებად და განყოფილებებად, რომელთა ხელმძღვანელებს თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს მინისტრი.

6. (ამოღებულია – 21.02.2013, №39).



საქართველოს მთავრობის 2010 წლის 27 იანვრის დადგენილება №18-სსმ III, №10, 28.01.2010წ., მუხ.109  
საქართველოს მთავრობის 2010 წლის 3 ივლისის დადგენილება №177-სსმ III, №80, 06.07.2010წ., მუხ.1171  
საქართველოს მთავრობის 2012 წლის 13 ივლისის დადგენილება №260 – ვებგვერდი, 16.07.2012წ.  
საქართველოს მთავრობის 2013 წლის 21 თებერვლის დადგენილება №39 – ვებგვერდი, 25.02.2013წ.  
საქართველოს მთავრობის 2014 წლის 27 იანვრის დადგენილება №114 – ვებგვერდი, 28.01.2014წ.  
საქართველოს მთავრობის 2014 წლის 1 მაისის დადგენილება №317 - ვებგვერდი, 02.05.2014წ.

## **მუხლი 7. სამინისტროს სტრუქტურული ქვედანაყოფების უფლება-მოვალეობანი და სტრუქტურა**

1. დევნილთა საკითხების დეპარტამენტის უფლება-მოვალეობანია:
  - ა) დევნილთა რეგისტრაციისა და ანკეტირების ორგანიზება;
  - ბ) (ამოღებულია – 06.05.2014, №334);
  - გ) დევნილის სტატუსის მინიჭების საკითხის განხილვა, სტატუსის მინიჭების ან მინიჭებაზე უარის თქმის თაობაზე დასკვნის მომზადება და გადაწყვეტილების მიღება;
  - დ) დევნილის სტატუსის მინიჭების, შეწყვეტის, ჩამორთმევისა და აღდგენის საკითხის განხილვა, სათანადო დასკვნების მომზადება და გადაწყვეტილების მიღება;
  - ე) დევნილთა შესახებ ინფორმაციის ანალიზი და მის საფუძველზე სათანადო რეკომენდაციებისა და წინადადებების მომზადება, დევნილთა მონაცემთა ბაზის შექმნა;
  - ვ) დევნილთა სტატუსის მინიჭებასა და რეგისტრაციასთან დაკავშირებით წინადადებების მომზადება, დევნილის მოწმობისა და ანკეტის ფორმების შემუშავება, მოწმობის გაცემის ორგანიზება და დევნილთა ანკეტირება;
  - ზ) სახელმწიფო ან თვითმმართველი ერთეულის საკუთრებაში არსებულ შენობებში მცხოვრებ დევნილთა აღწერის ორგანიზება და საცხოვრებელი ფართების იდენტიფიცირება;
  - თ) სახელმწიფოს ან თვითმმართველი ერთეულის საკუთრებაში არსებული ფართობების სარეგისტრაციო დოკუმენტაციის, მათ შორის, შიდა აზომვითი ნახაზების მომზადება და კომპეტენციის ფარგლებში კანონმდებლობით გათვალისწინებული ღონისძიებების გატარება მათი დევნილთათვის საკუთრებაში გადაცემის მიზნით;
  - ი) გადაუდებელი დახმარების გაწევისა და დროებითი განსახლების ორგანიზება;
  - კ) დევნილთა მიღების ორგანიზება, კომპეტენციის ფარგლებში მათი კონსულტირება და საჭირო საკითხების ირგვლივ ინფორმირება;
  - ლ) კომპეტენციის ფარგლებში დევნილთა დასაქმების, ადაპტაციის, მათი სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის ხელშეწყობა, შესაბამისი პროგრამებისა და ნორმატიული აქტების პროექტების მომზადება;
  - მ) დევნილთა განსახლების ორგანიზება, განსახლების პოლიტიკის შემუშავება, განსახლების პროცესის მართვა და მონიტორინგი, დევნილთა გრძელვადიანი განსახლების ორგანიზება მინისტრის ნორმატიული აქტის საფუძველზე;
  - ნ) დევნილთა დაბრუნების ორგანიზებისა და რეაბილიტაცია-ადაპტაციის პროცესის ხელშეწყობა;
  - ო) საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე არსებული უძრავი ქონების აღრიცხვის ორგანიზება და მონაცემთა ბაზის შექმნა, დევნილთა და სხვა პირთა ოკუპირებულ ტერიტორიებზე არსებული უძრავი ქონების დაცვის მექანიზმების შემუშავება;
  - პ) დევნილთა რეაბილიტაცია-ადაპტაციის სფეროში სახელმწიფო და სხვა პროგრამებისა და მიმდინარე სამუშაოთა შესრულების კონტროლი და ანალიზი კომპეტენციის ფარგლებში;
  - ჟ) ევროპის სამეზობლო პოლიტიკის სამოქმედო გეგმიდან გამომდინარე, სამინისტროს განსახორციელებელ ღონისძიებებთან დაკავშირებით შესაბამისი პროექტის შემუშავება და ღონისძიებათა განხორციელების ორგანიზების უზრუნველყოფა კომპეტენციის ფარგლებში;
  - რ) სამინისტროს, სხვა სახელმწიფო უწყებებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების, ასევე სამთავრობო და არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ დევნილთათვის განხორციელებული პროექტების მონიტორინგი;
  - ს) სხვა სახელმწიფო უწყებებსა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებთან, ასევე სამთავრობო და არასამთავრობო ორგანიზაციებთან თანამშრომლობა დევნილთა საყოფაცხოვრებო და სოციალური პირობების გაუმჯობესების მიზნით;
  - ტ) დევნილთა ერთიანი მონაცემთა ელექტრონული ბაზის შექმნა, მასში დაცული მონაცემების ფორმირება და დახვეწა;
  - უ) დევნილთა განსახლების ობიექტებში არსებული საყოფაცხოვრებო პირობების შესწავლა, ობიექტების მდგომარეობის შესახებ დევნილთა განცხადებების განხილვა და რეაგირება;
  - ფ) მართლზომიერ მფლობელობაში გადაცემული საცხოვრებელი ფართობების (ყოფილი დევნილთა კომპაქტურად განსახლების ობიექტების) რეაბილიტაციის ღონისძიებათა დაგეგმვა და განხორციელების ორგანიზება;
  - ქ) თავისი კომპეტენციის ფარგლებში სამართლებრივი აქტების პროექტების მომზადება და მინისტრის ცალკეულ დავალებათა შესრულების უზრუნველყოფა;
2. დევნილთა საკითხების დეპარტამენტის სტრუქტურული ქვედანაყოფებია:





ა) რეგისტრაციის სამმართველო;

ბ) სოციალურ საკითხთა და განსახლების სამმართველო, რომლის სტრუქტურული ქვედანაყოფებია:

ბ.ა) საცხოვრებელი ფართის მიღების თაობაზე განაცხადის მიღების განყოფილება;

ბ.ბ) საცხოვრებელი ფართის მიღების თაობაზე განაცხადის წინასწარი შეფასების განყოფილება;

ბ.გ) საცხოვრებელი ფართის მიღების თაობაზე განაცხადის შეფასების მონიტორინგის განყოფილება;

გ) დევნილთა მისაღები ცენტრი - სამმართველო;

დ) უძრავი ქონების რესტიტუციის სამმართველო.

3. მიგრაციის, რეპატრიაციისა და ლტოლვილთა საკითხების დეპარტამენტის უფლება-მოვალეობანია:

ა) ლტოლვილის ან ჰუმანიტარული სტატუსის მქონე პირთა რეგისტრაციისა და ანკეტირების ორგანიზება; საქართველოში თავშესაფრის მაძიებელთა აღრიცხვა, მათი სამართლებრივი მდგომარეობის დადგენა და სათანადო სტატუსის თაობაზე გადაწყვეტილების მიღება;

ბ) თავშესაფრის მაძიებელი პირის საკითხის განხილვა, პირის თავშესაფრის მაძიებლად რეგისტრაციაზე ან რეგისტრაციაზე უარის თქმის თაობაზე დასკვნის მომზადება და გადაწყვეტილების მიღება, თავშესაფრის მაძიებელ პირთა წარმოშობის ქვეყნის შესახებ ინფორმაციის მოპოვება;

გ) ლტოლვილის ან ჰუმანიტარული სტატუსის მინიჭების თაობაზე საკითხის არსებითად განხილვა, სტატუსის მინიჭების ან მინიჭებაზე უარის თქმის თაობაზე დასკვნის მომზადება და გადაწყვეტილების მიღება;

დ) ლტოლვილის ან ჰუმანიტარული სტატუსის შეწყვეტის, გაუქმებისა და აღდგენის თაობაზე საკითხის განხილვა, სათანადო დასკვნების მომზადება და გადაწყვეტილების მიღება;

ე) ლტოლვილის ან ჰუმანიტარული სტატუსის მქონე პირთა ბაზის შექმნა, თავშესაფრის მაძიებლის ანკეტისა და ცნობის ფორმების შემუშავება, ანკეტების წარმოება და თავშესაფრის მაძიებლის ცნობისა და ლტოლვილის ან ჰუმანიტარული სტატუსის დამადასტურებელი დოკუმენტების გაცემის ორგანიზება;

ვ) „ლტოლვილთა სტატუსის შესახებ“ 1951 წლის კონვენციითა და „ლტოლვილთა სტატუსის შესახებ“ 1967 წლის ოქმით გათვალისწინებული ლტოლვილის სტატუსის მაძიებელ პირთა და ლტოლვილთა უფლებების დაცვის, რეალიზებისა და გარანტიების უზრუნველყოფის ხელშეწყობა; თავშესაფრის მაძიებელთა და ლტოლვილის ან ჰუმანიტარული სტატუსის მქონე პირთა სოციალური დაცვის ხელშეწყობა;

ზ) თავშესაფრის მაძიებელ პირთა, ლტოლვილის ან ჰუმანიტარული სტატუსის მქონე პირთა განსახლების ორგანიზება; განსახლების პროცესის მართვა და მონიტორინგი;

თ) ლტოლვილის ან ჰუმანიტარული სტატუსის მქონე პირთა რეაბილიტაცია-ადაპტაციის პროცესის ხელშეწყობა;

ი) რეპატრიაციის საკითხთა რეგულირება; მოქმედი კანონმდებლობის საფუძველზე დეპორტირებულ პირთა იდენტიფიკაციის, რეპატრიანტთა საინფორმაციო ბანკის შექმნა; რეპატრიანტთა ადაპტაცია-ინტეგრაციის პროცესების წარმართვა და კოორდინაცია; შესაბამისი პროექტების შემუშავება და რეალიზებისათვის ხელშეწყობა;

კ) მიგრაციის პოლიტიკის განსაზღვრისა და მისი განხორციელების შესახებ წინადადებებისა და ნორმატიული აქტების პროექტების მომზადება კომპეტენციის ფარგლებში;

ლ) ემიგრაციიდან დაბრუნებული საქართველოს მოქალაქეებისათვის რეფერალური დახმარების მიღებისათვის კონსულტაციის გაწევა, საინტეგრაციო პროგრამების შემუშავება და განხორციელება;

მ) ევროკავშირისა და სხვა საერთაშორისო ორგანიზაციებთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან გამომდინარე სამინისტროს განსახორციელებელ ღონისძიებებთან დაკავშირებით შესაბამისი პროექტების შემუშავება და ღონისძიებათა განხორციელების ორგანიზების უზრუნველყოფა კომპეტენციის ფარგლებში;

ნ) საზოგადოებრივი ცნობიერების ამაღლება, არალეგალური მიგრაციის რისკებისა და ლეგალური შრომითი ემიგრაციის შესაძლებლობების შესახებ;

ო) კომპეტენციის ფარგლებში, მინისტრის სამართლებრივი აქტების პროექტების მომზადება და მინისტრის ცალკეულ დაჯალბათა შესრულების უზრუნველყოფა;

[პ] თავშესაფრის მაძიებელთა სტატუსის დასადაგენად ჩატარებული კვლევისა და თავშესაფრის მინიჭების მიზანშეწონილობის თაობაზე მომზადებული დასკვნის ანალიზის საფუძველზე საჭიროებების გამოვლინა და ეფექტურობის ასამაღლებელი შესაბამისი სასწავლო კურსის/ტრენინგის დაგეგმვა-განხორციელება და შედეგების ანალიზი;

[ჟ] თავშესაფრის მაძიებელთა სტატუსის დამდგენი და თავშესაფრის მაძიებელ პირთა წარმოშობის ქვეყნის შესახებ ინფორმაციის მოპოვების სპიციალისტებისათვის სასწავლო პროგრამების შემუშავება და განხორციელება. **(ამოქმედდეს 2016 წლის 1 იანვრიდან)**

4. მიგრაციის, რეპატრიაციისა და ლტოლვილთა საკითხების დეპარტამენტის სტრუქტურული ქვედანაყოფებია:

ა) თავშესაფრის საკითხთა სამმართველო, რომლის სტრუქტურული ქვედანაყოფებია:

ა.ა) თავშესაფრის მაძიებელ პირთა წარმოშობის ქვეყნის შესახებ ინფორმაციის მოპოვების განყოფილება;

ა.ბ) თავშესაფრის მაძიებელთა მიმღები ცენტრი - განყოფილება;

[ა.გ) სტატუსის დადგენის განყოფილება;

ა.დ) ხარისხის კონტროლისა და ტრენინგების განყოფილება. **(ამოქმედდეს 2016 წლის 1 იანვრიდან)**

ბ) მიგრაციისა და რეპატრიაციის სამმართველო.

4<sup>1</sup>. ეკომიგრანტთა საკითხების დეპარტამენტის უფლება-მოვალეობანია:



ა) სტიქიური მოვლენებით გამოწვეული ეკომიგრაციული პროცესების ეფექტიანი მართვის სისტემის შემუშავება და რეალიზაციისათვის ხელშეწყობა; კომპეტენციის ფარგლებში, საქართველოს ტერიტორიაზე მიგრაციული პროცესების მონიტორინგი;

ბ) შესაბამისი სამთავრობო დაწესებულების მიერ, სტიქიასაშიში ზონების შესახებ მოწოდებული ინფორმაციის საფუძველზე, მოსალოდნელი მიგრაციული პროცესების ანალიზი;

გ) გადაადგილებას დაქვემდებარებული, სტიქიით დაზარალებული ოჯახების განსახლების ორგანიზება და უზრუნველყოფა კომპეტენციის ფარგლებში;

დ) სტიქიური მოვლენების შედეგად დაზარალებული ოჯახების ახალ საცხოვრებელ ადგილებზე ინტეგრაციის პროგრამების შემუშავებაში მონაწილეობის მიღება, კომპეტენციის ფარგლებში;

ე) სტიქიური მოვლენების შედეგად დაზარალებული და გადაადგილებას დაქვემდებარებული ოჯახების (ეკომიგრანტების) მონაცემთა ერთიანი ელექტრონული ბაზის ფორმირება და წარმოება;

ვ) ეკომიგრანტთა განსახლების ორგანიზების უზრუნველყოფის მიზნით, სხვა შესაბამის კომპეტენტურ სახელმწიფო დაწესებულებებთან და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებთან თანამშრომლობა და მათგან შესაბამისი ინფორმაციისა და დოკუმენტაციის მოთხოვნა;

ზ) შიდა მიგრაციის პოლიტიკის განსაზღვრისა და მისი განხორციელების შესახებ წინადადებებისა და ნორმატიული აქტების პროექტების მომზადება, კომპეტენციის ფარგლებში;

თ) კომპეტენციის ფარგლებში, მინისტრის სამართლებრივი აქტების პროექტების მომზადება და მინისტრის ცალკეულ დავალებათა შესრულების უზრუნველყოფა.

4<sup>2</sup>. ეკომიგრანტთა საკითხების დეპარტამენტის სტრუქტურული ქვედანაყოფებია:

ა) რეგისტრაციის უზრუნველყოფის სამმართველო;

ბ) განსახლებისა და მონიტორინგის სამმართველო.

5. ადმინისტრაციული დეპარტამენტის უფლება-მოვალეობანია:

ა) მინისტრის საქმიანობის ორგანიზაციული და ადმინისტრაციული უზრუნველყოფა;

ბ) მინისტრის თათბირებისა და სხდომების ორგანიზება;

გ) სამინისტროს სისტემაში საქმისწარმოების ორგანიზება;

დ) საარქივო საქმიანობის წარმართვა;

ე) მოქალაქეთა მიღების კოორდინაცია და ორგანიზაციული უზრუნველყოფა;

ვ) წლიური და კვარტალური სტატისტიკური ანგარიშების შედგენა მათი დანიშნულებისამებრ წარდგენის მიზნით;

ზ) საიდუმლო საქმისწარმოების განხორციელება, მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებულ შესაბამის ინფორმაციასა და დოკუმენტაციასთან დაკავშირებით საიდუმლოების რეჟიმის დაცვის უზრუნველყოფა;

თ) საჯარო ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა;

ი) სამინისტროში არსებულ ცხელ ხაზზე შემოსულ სატელეფონო შეტყობინებათა რეგისტრაცია და შესაბამისი კონსულტაციის გაწევა; შემოსულ შეტყობინებებზე რეაგირების მიზნით სამინისტროს შესაბამისი სტრუქტურული ქვედანაყოფებისათვის ინფორმაციის მიწოდება;

კ) სამინისტროს ფუნქციონირების მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფა;

ლ) სამინისტროს საჭიროებიდან გამომდინარე, ტექნიკური და კომპიუტერული მოწყობილობების ახალი ინოვაციური მოწყობილობებით ჩანაცვლება და მათზე მონიტორინგის წარმოების უზრუნველყოფა;

მ) სამინისტროში საინფორმაციო-ტექნოლოგიური ხასიათის ხარვეზებზე დროული რეაგირება და მისი აღმოფხვრა;

ნ) სამინისტროს სისტემაში ანალიტიკური საქმიანობის განხორციელება;

ო) სამინისტროს საქმიანობასთან დაკავშირებული სტრატეგიულ-პოლიტიკური დოკუმენტების შემუშავება;

პ) სამინისტროს საქმიანობასთან დაკავშირებული სტატისტიკური ინფორმაციისა და მონაცემთა დამუშავება/განზოგადება და სისტემატიზაციის უზრუნველყოფა;

ჟ) სამინისტროს სისტემის განვითარების მიზნით სამოქმედო გეგმების შემუშავება;

რ) სამინისტროს საქმიანობის ანგარიშების მომზადება და კანონმდებლობით დადგენილი წესით სახელმწიფო დაწესებულებების, ორგანიზაციებისა და დაინტერესებული პირებისათვის მიწოდება;

ს) სამინისტროს წინაშე არსებული გამოწვევებისა და რისკების შესწავლა, ანალიზი, განზოგადება და სათანადო დასკვნების, წინადადებებისა და რეკომენდაციების მომზადება;

ტ) კომპეტენციის ფარგლებში, მინისტრის სამართლებრივი აქტების პროექტების მომზადება და მინისტრის ცალკეულ დავალებათა შესრულების უზრუნველყოფა.

6. ადმინისტრაციული დეპარტამენტის სტრუქტურული ქვედანაყოფებია:

ა) საქმისწარმოების სამმართველო, რომლის სტრუქტურული ქვედანაყოფია ცხელი ხაზის განყოფილება;

ბ) მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის სამმართველო;

გ) პოლიტიკისა და ანალიტიკის სამმართველო.

7. იურიდიული დეპარტამენტის უფლება-მოვალეობანია:

ა) სამინისტროს სტრუქტურული ქვედანაყოფების მიერ შემუშავებული ნორმატიული აქტების პროექტების სამართლებრივი ექსპერტიზა;

ბ) სამინისტროს საჯარო მოსამსახურეთათვის სამსახურებრივი საკითხების შესახებ იურიდიული კონსულტაციის გაწევა;



გ) კანონმდებლობით დადგენილი წესით სამინისტროს წარმომადგენლობის უზრუნველყოფა სასამართლოში;

დ) მინისტრის მოადგილის – საპარლამენტო მდივნის კანონმდებლობით მინიჭებულ უფლებამოსილებათა განხორციელების ხელშეწყობა;

ე) სამინისტროში მომზადებული დოკუმენტაციის სამართლებრივი ექსპერტიზა კომპეტენციის ფარგლებში;

ვ) სამინისტროში კანონშემოქმედებითი საქმიანობისა და საქართველოს პარლამენტთან ურთიერთობის წარმართვის უზრუნველყოფა;

ზ) სამინისტროს საქმიანობის სამართლებრივი უზრუნველყოფა.

8. იურიდიული დეპარტამენტის სტრუქტურული ქვედანაყოფებია:

ა) სამართლებრივი უზრუნველყოფის სამმართველო;

ბ) სასამართლო წარმომადგენლობის სამმართველო.

9. საფინანსო დეპარტამენტის უფლება-მოვალეობანია:

ა) სამინისტროს ერთიანი ბიუჯეტის პროექტის შემუშავება;

ბ) საბუღალტრო აღრიცხვის წარმოება და ხარჯთა-ნუსხის შედგენა;

გ) სამინისტროს ფუნქციონირების ფინანსური უზრუნველყოფა;

დ) „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად სამინისტროს საჭიროებისათვის საქონლის, მომსახურებისა და სამუშაოთა შესყიდვის დაგეგმვა და განხორციელება, შესყიდვებთან დაკავშირებული პროცედურების ორგანიზება;

ე) კომპეტენციის ფარგლებში სამართლებრივი აქტების პროექტების მომზადება; მინისტრის ცალკეულ დავალებათა შესრულების უზრუნველყოფა.

10. საფინანსო დეპარტამენტის სტრუქტურული ქვედანაყოფებია:

ა) საფინანსო-საბიუჯეტო სამმართველო;

ბ) აღრიცხვა-ანგარიშგების სამმართველო;

გ) სახელმწიფო შესყიდვების სამმართველო;

11. შიდა აუდიტის დეპარტამენტის უფლება-მოვალეობანია:

ა) სამინისტროს სისტემის ორგანოების მიერ საქართველოს კანონების, საქართველოს პრეზიდენტის, საქართველოს მთავრობისა და მინისტრის ნორმატიული აქტების განუხრელად შესრულებისა და დაცვის კონტროლი;

ბ) სამინისტროს, მისი ტერიტორიული ორგანოებისა და საჯარო სამართლის იურიდიული პირის მიერ სახსრების, სხვა მატერიალური ფასეულობების ხარჯვისა და გამოყენების კანონიერების შემოწმება;

გ) სამინისტროს სისტემის ორგანოებში დისციპლინისა და კანონიერების დაცვის სამსახურებრივი კონტროლი, სამინისტროს სისტემის მოსამსახურეთა მიერ მოქალაქეთა კონსტიტუციური უფლებებისა და კანონიერი ინტერესების შელახვის, სამსახურებრივ გადაცდომათა და სხვა მართლსაწინააღმდეგო ქმედებათა ჩადენის ფაქტების გამოვლენა, ამ ფაქტებთან დაკავშირებული განცხადებებისა და საჩივრების შესწავლა და შესაბამისი რეაგირება;

დ) სამინისტროს სისტემის მოსამსახურეთა მიერ სამსახურებრივი გადაცდომის ფაქტებზე სამსახურებრივი შემოწმების ჩატარება, შემოწმების შედეგების შესახებ დასკვნის შედგენა და მინისტრისათვის წარდგენა;

ე) სამინისტროს ფუნქციონირებისა და მართვის პროცედურების მწარმოებლურობის, ეფექტურობისა და ეკონომიურობის გაზრდის მიზნით რეკომენდაციების შემუშავება;

ვ) სამინისტროს მოსამსახურეების ინტერესთა შეუთავსებლობის ფაქტების გამოვლენა, სამსახურებრივი ეთიკის წესების შესრულების კონტროლისა და ზედამხედველობის განხორციელება;

ზ) თავისი კომპეტენციის ფარგლებში სხვა საქმიანობები, რომლებიც გამომდინარეობს სამინისტროს საქმიანობის სპეციფიკიდან, „სახელმწიფო შიდა ფინანსური კონტროლის შესახებ“ საქართველოს კანონიდან და არ ეწინააღმდეგება მოქმედ კანონმდებლობას.

11<sup>1</sup>. შიდა აუდიტის დეპარტამენტის სტრუქტურული ქვედანაყოფებია:

ა) შიდა აუდიტისა და ფინანსური კონტროლის სამმართველო;

ბ) სამსახურებრივი დისციპლინის უზრუნველყოფის სამმართველო.

12. საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტის უფლება-მოვალეობანია:

ა) საერთაშორისო ორგანიზაციებთან ურთიერთობის წარმართვა;

ბ) სამინისტროს საგარეო ურთიერთობების კოორდინაცია და განვითარება;

გ) არასამთავრობო ორგანიზაციებთან ურთიერთობის წარმართვა;

დ) საერთაშორისო ურთიერთობათა პრინციპებიდან გამომდინარე, სათანადო წინადადებებისა და მექანიზმების შემუშავება სამინისტროს საქმიანობის ეფექტიანად წარმართვის მიზნით;

ე) სამინისტროს საპროტოკოლო უზრუნველყოფა; სხვადასხვა ღონისძიებების დაგეგმვა და განხორციელების უზრუნველყოფა.

13. განსახლების ობიექტების ტექნიკური ზედამხედველობის დეპარტამენტის უფლება-მოვალეობანია:

ა) დევნილთა განსახლების ობიექტებში მიმდინარე სამშენებლო-სარეაბილიტაციო სამუშაოების ზედამხედველობის განხორციელება კანონმდებლობით დადგენილი წესით;

ბ) კომპეტენციის ფარგლებში, სამშენებლო და სარეაბილიტაციო ობიექტებში მიმდინარე სამუშაოთა შესრულების ხარისხის კონტროლი და ანალიზი;





გ) სამშენებლო და სარეაბილიტაციო სამუშაოების შეუფერხებლად წარმოების მიზნით, მათი მიმდინარეობისას წამოჭრილ, გაუთვალისწინებელ საკითხებზე ტექნიკური ზედამხედველობის სამმართველოს მიერ საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციით უზრუნველყოფის სამმართველოს დროული ინფორმირება შესაბამის პროექტში იმგვარი ცვლილებების განსახორციელებლად, რომელიც არ გამოიწვევს შესყიდვის ხელშეკრულების ღირებულების ცვლილებას;

დ) სამშენებლო და სარეაბილიტაციო სამუშაოების წარმოებისას განხორციელებული ფარული სამუშაოების სრულფასოვანი კონტროლი;

ე) სამშენებლო და სარეაბილიტაციო სამუშაოების მიმდინარეობის შესაბამისი შესყიდვის ხელშეკრულებით განსაზღვრულ ვადებში დასრულების მიზნით, კალენდარული გრაფიკების პერიოდული კონტროლი და შესაბამისი წინადადებების წარდგენა შემდგომი რეაგირებისთვის;

ვ) სარეაბილიტაციოდ გადმოცემული ან შესაძლო რეაბილიტაციას დაქვემდებარებული ობიექტების პირველადი მოკვლევის სამუშაოების ჩატარება, ტექნიკური თვალსაზრისით რეაბილიტაციის განხორციელების მიზანშეწონილობის დადგენის მიზნით;

ზ) დევნილთა განცხადებებზე რეაგირების მიზნით, მათი განსახლების ობიექტების არსებული ტექნიკური პირობებისა და მდგომარეობის შესწავლა და საჭიროების შემთხვევაში (მათ შორის გადაუდებელი სამუშაოების ჩატარების მითითებით) განსახორციელებელ სარეაბილიტაციო სამუშაოებზე ინფორმაციის წარდგენა;

თ) სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენა მცირე მოცულობის (10 000 ლარამდე) სამშენებლო-სარემონტო სამუშაოებზე, რომლებიც არ საჭიროებს პროექტის მუშა ნახაზების შედგენას და შესაძლებელია განხორციელდეს აზომვითი სამუშაოების საფუძველზე მომზადებული შესაბამისი აქტის მიხედვით;

ი) ცალკეულ ობიექტებზე მასალების მომზადება, საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციების შედგენაზე კონკურსების გამოცხადების მიზნით;

კ) საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციების შედგენაზე გამოცხადებულ კონკურსებზე წარმოდგენილი წინადადებების განხილვა, კომპეტენციის ფარგლებში გამარჯვებულის გამოსავლენად სატენდერო კომისიაზე წარდგენის მიზნით;

ლ) წინადადებების წარდგენა სატენდერო კომისიისათვის საკვალიფიკაციო და ტექნიკური მოთხოვნების თაობაზე, სამშენებლო და სარეაბილიტაციო სამუშაოებზე ტენდერის გამოცხადების მიზნით.

14. განსახლების ობიექტების ტექნიკური ზედამხედველობის დეპარტამენტის სტრუქტურული ქვედანაყოფებია:

- ა) ტექნიკური ზედამხედველობის სამმართველო;
  - ბ) საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციით უზრუნველყოფის სამმართველო.
15. საზოგადოებასა და მასმედიასთან ურთიერთობის დეპარტამენტის უფლება-მოვალეობანია:
- ა) მასობრივი ინფორმაციის საშუალებებთან მინისტრისა და სამინისტროს ურთიერთობის უზრუნველყოფა და ხელშეწყობა;
  - ბ) საზოგადოების ინფორმირება სამინისტროს საქმიანობის თაობაზე;
  - გ) ბრიფინგებისა და სამინისტროს ვებგვერდის საინფორმაციო უზრუნველყოფა და ორგანიზება;
  - დ) სამინისტროს განცხადებებისა და სხვა საინფორმაციო ხასიათის დოკუმენტების მომზადება-გავრცელება;
  - ე) ფოტო-ვიდეო მასალების დამზადება-დაარქივება;
  - ვ) სამინისტროში შემოსულ კორესპონდენციებზე მუშაობა და რეაგირება კომპეტენციის ფარგლებში;
  - ზ) სამინისტროს მიერ განსახორციელებელი ღონისძიებების დაგეგმვაში მონაწილეობის მიღება და მისი გაშუქების უზრუნველყოფა.

16. ადამიანური რესურსების მართვისა და განვითარების სამმართველოს უფლება-მოვალეობანია:

- ა) ადამიანური რესურსების მართვის ორგანიზება;
- ბ) ვაკანტურ თანამდებობათა დასაკავებლად კონკურსისა და სამინისტროს სისტემის საჯარო მოსამსახურეთა ატესტაციის ორგანიზება;
- გ) სამინისტროს სისტემის მოხელეთა და მოსამსახურეთათვის ტრენინგებისა და სასწავლო კურსების დაგეგმვა, მათი კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით;
- დ) სამინისტროს სისტემის მოსამსახურეთა პირადი საქმიეების წარმოება.

17. საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის ბრძოლებში უგზო-უკვლოდ დაკარგულ მებრძოლთა მოძებნისა და მათი ოჯახის წევრების უფლებების დაცვის განყოფილების უფლება-მოვალეობანია:

- ა) საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის ბრძოლებში უგზო-უკვლოდ დაკარგულ მებრძოლთა მოძებნისა და გადმოსვენების ღონისძიებების ორგანიზება/განხორციელება სამინისტროს კომპეტენციის ფარგლებში;
- ბ) საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის ბრძოლებში უგზო-უკვლოდ დაკარგულ მებრძოლთა ოჯახის წევრთა უფლებების დაცვის პროგრამების შემუშავება, დამტკიცება და განხორციელების ორგანიზება სამინისტროს კომპეტენციის ფარგლებში.

საქართველოს მთავრობის 2010 წლის 27 იანვრის დადგენილება №18-სსმ III, №10, 28.01.2010წ., მუხ.109  
საქართველოს მთავრობის 2010 წლის 3 ივლისის დადგენილება №177-სსმ III, №80, 06.07.2010წ., მუხ.1171  
საქართველოს მთავრობის 2010 წლის 13 ოქტომბრის დადგენილება №318-სსმ III, №134, 19.10.2010წ., მუხ.1955  
საქართველოს მთავრობის 2012 წლის 13 ივლისის დადგენილება №260 – ვებგვერდი, 16.07.2012წ.  
საქართველოს მთავრობის 2013 წლის 21 თებერვლის დადგენილება №39 – ვებგვერდი, 25.02.2013წ.

საქართველოს მთავრობის 2014 წლის 27 იანვრის დადგენილება № 114 – ვებგვერდი, 28.01.2014 წ.  
საქართველოს მთავრობის 2014 წლის 1 მაისის დადგენილება № 317 - ვებგვერდი, 02.05.2014წ.  
საქართველოს მთავრობის 2014 წლის 6 მაისის დადგენილება № 334 - ვებგვერდი, 06.05.2014წ.  
საქართველოს მთავრობის 2015 წლის 23 თებერვლის დადგენილება № 80 - ვებგვერდი, 25.02.2015წ.  
საქართველოს მთავრობის 2015 წლის 7 ივლისის დადგენილება № 332 – ვებგვერდი, 08.07.2015წ.

### **მუხლი 7<sup>1</sup>. (ამოღებულია)**

საქართველოს მთავრობის 2009 წლის 31 ივლისის დადგენილება № 140-სსმ III, № 97, 06.08.2009წ., მუხ. 1070  
საქართველოს მთავრობის 2014 წლის 27 იანვრის დადგენილება № 114 – ვებგვერდი, 28.01.2014 წ.

### **მუხლი 7<sup>2</sup>. სამინისტროს ტერიტორიული ორგანოები**

1. სამინისტროს ტერიტორიული ორგანოებია:
  - ა) აჭარისა და სამეგრელო-ზემო სვანეთის ტერიტორიული ორგანო;
  - ბ) იმერეთის, გურიის, რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის ტერიტორიული ორგანო;
  - გ) ქვემო ქართლის, მცხეთა-მთიანეთისა და კახეთის ტერიტორიული ორგანო;
  - დ) შიდა ქართლისა და სამცხე-ჯავახეთის ტერიტორიული ორგანო.
2. სამინისტროს ტერიტორიული ორგანოები უზრუნველყოფენ სამინისტროს კომპეტენციას მიკუთვნებული საკითხების განხორციელებას, კონკრეტულ ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ საზღვრებში, მათი უფლებამოსილებების ფარგლებში.
3. სამინისტროს ტერიტორიული ორგანოების ფუნქციები, ამოცანები და უფლებამოსილებები განისაზღვრება დებულებით, რომელსაც ამტკიცებს მინისტრი.  
საქართველოს მთავრობის 2013 წლის 21 თებერვლის დადგენილება № 39 – ვებგვერდი, 25.02.2013წ.

### **მუხლი 8. მინისტრის სათათბირო ორგანოები**

1. მინისტრს შეუძლია თავისი მმართველობის სფეროში შექმნას საბჭოები და კომისიები (შემდგომში – საბჭო) სათათბირო უფლებით და განსაზღვროს მათი მოვალეობანი და საქმიანობის წესი.
2. საბჭო იქმნება მინისტრის ბრძანებით, რომლითაც განისაზღვრება მისი ამოცანები, თავმჯდომარე (საჭიროების შემთხვევაში – თავმჯდომარის მოადგილე) და წევრები, ამოცანის შესრულების ვადა და საბჭოს საქმიანობის ორგანიზაციულ-ტექნიკური უზრუნველყოფის სტრუქტურული ქვედანაყოფები.
3. საბჭოს წევრად შეიძლება დანიშნულ იქნეს სხვა სამთავრობო დაწესებულების მოსამსახურე ამ დაწესებულების ხელმძღვანელის წინადადებით. საბჭოს მუშაობაში შეიძლება თავიანთი თანხმობით ჩაბმულ იქნენ პირები, რომლებიც არ არიან სახელმწიფო მოხელეები.
4. თუ საბჭოს თავმჯდომარე არ არის სახელმწიფო მოხელე, რომელიც შედის სამინისტროს ხელმძღვანელობაში, ან არ არის სამინისტროს სტრუქტურული ქვედანაყოფის ხელმძღვანელი, მინისტრი სამინისტროს ხელმძღვანელობიდან ან სამინისტროს სტრუქტურული ქვედანაყოფების ხელმძღვანელობიდან ნიშნავს საბჭოს მუშაობისათვის პასუხისმგებელ პირს.
5. საბჭოს საქმიანობასა და საბჭოს სხდომის საოქმო წარმოებას უზრუნველყოფს ადმინისტრაციული დეპარტამენტი.
6. საბჭო უფლებამოსილია თავის წინაშე მდგომ ამოცანათა შესასრულებლად სახელმწიფო და ადგილობრივი ორგანოებიდან გამოითხოვოს საჭირო დოკუმენტები.
7. საბჭო ანგარიშვალდებულია მინისტრის წინაშე.

### **მუხლი 9. სამინისტროს სიმბოლიკა**

1. სამინისტროს აქვს მრგვალი, 50 მმ დიამეტრის ბეჭედი, რომლის ცენტრში გამოსახულია სახელმწიფო გერბი. რგოლის ზედა მხარეს არის წარწერა „საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტრო“.
2. სამინისტრო გამოიყენებს სახელმწიფო დროშას მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.
3. სახელმწიფო გერბის გამოსახულება გამოიყენება სამინისტროს ბლანკებსა და სამინისტროს შესასვლელის აბრაზე.
4. სამინისტროს შეიძლება ჰქონდეს ემბლემა, რომელიც რეგისტრირდება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.
5. სამინისტროს ემბლემა შეიძლება გამოყენებულ იქნეს სავიზიტო ბარათებზე, სხვა ბეჭდვით გამოცემებსა და სამინისტროს სუვენირებზე.  
საქართველოს მთავრობის 2012 წლის 13 ივლისის დადგენილება № 260 – ვებგვერდი, 16.07.2012წ.

### **მუხლი 10. სამსახურებრივი ზედამხედველობა**

1. მინისტრი კანონით დადგენილი წესით სამსახურებრივ ზედამხედველობას უწევს სამინისტროს თანამდებობის პირთა მიერ მომზადებულ აქტებსა და საქმიანობას.
2. მინისტრი სამსახურებრივი ზედამხედველობის განხორციელებისას გამოსცემს ინდივიდუალურ სამართლებრივ აქტებს.
3. მინისტრს უფლება აქვს სამინისტროს თანამდებობის პირთა საქმიანობის სამსახურებრივი



ზედამხედველობა დააკისროს თავის პირველ მოადგილეს.

**მუხლი 11. სამინისტროს დებულებაში ცვლილებების შეტანა**

სამინისტროს დებულებაში ცვლილებების შეტანა ხორციელდება საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

